

შპს „სითი და კო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	01.01.2018	შენიშვნები
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,511,119	610,487	527,933	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	2,895,218	453,684	118	3.3
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2,084,574	370,530	1015	3.4
მარაგები	45,383	42,866	234,772	3.6
- მზა პროდუქცია				
- სხვა	45,383	42,866	234,772	3.6
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	1,082,823	252,414	542,204	3.2,5,7
ბიოლოგიური აქტივები	-			
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	3,222	2,323	540	3.10
ძირითადი საშუალებები	390,269	280,097	37,197	3.8,9
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიაში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	8,012,608	2,012,401	1,343,779	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	441,228	11,843	319,986	3.11
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	61,376	1,984		3.13
საგადასახადო ვალდებულებები	626,599	49,954	354,38	3.15
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	2,824,757	2,053,983	1,368,302	3.14
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	6,212,471	1,242,368	32,968	3.12,16
სულ ვალდებულებები	10,166,431	3,360,132	1,756,694	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'ზაპაიო კაპიტალი')				
საემისიო შემოსავალი	3,750	14,103	54,917	3.16
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი-სითი და კო	(2,161,128)	(1,362,938)	(467,832)	3.17
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი-ჯიშ ემ	3,542	1,104		3.17
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი-ამხანაგობა 1981	13	-		3.17
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	(2,153,823)	(1,347,731)	(412,915)	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8,012,608	2,012,401	1,343,779	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ილია ანთაძე

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო ს წინა პერიოდი 2018 წელი	შენიშვნები
ნეტო ამონაგები	8,833,964	1,653,802	
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან		14159	3.18
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	8,833,964	1,639,643	3.18
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7,850,718)	(1,110,519)	
საწყისი მარაგები	(42,866)	(234,772)	3.18
მარაგების შესყიდვა	(7,884,729)	(929,047)	3.18
გადამუშავების დანახარჯები	31,494	10,434	3.18
საბოლოო მარაგები	45,383	42,866	3.18
საერთო მოგება	983,246	543,283	
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(715,345)	(525,128)	3.19
ცვეთა და ამორტიზაცია	(25,961)	(11,829)	3.19
საპროცენტო შემოსავალი:	50,131	53,287	3.20
საპროცენტო ხარჯი:	(265,733)	(177,234)	3.19
ოჯარის ხარჯი	(85,631)	(53,634)	3.19
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(580,504)	(108,753)	3.19
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,623,043)	(823,291)	
საოპერაციო მოგება	(639,797)	(280,008)	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(140,065)	(29,617)	3.21
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(77)	(177)	3.22
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(779,939)	(309,802)	3.23
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	(779,939)	(309,802)	3.23
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(779,939)	(309,802)	3.23
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(1,347,731)	(412,915)	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(15,800)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-584200	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(10,353)	-40814	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(2,153,823)	(1,347,731)	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ილია ანთაძე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სითი და კო“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 6 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404398077, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, ბესიკი ქ. N 4 მიმდებარედ. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი და ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელი იყო ივანე მორჩილაძე (პ/ნ 501018005843), ხოლო 2013 წლის 1 მაისს მოხდა წილის გასხვისება ნანული ჭეფხოძეზე (პ.ნ. 01017000131), რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ერთადერთ 100%-იან მფლობელს.

1.3. კომპანიის ფინანსური დირექტორია ილია ანთაძე (პ.ნ. 01024013390, ორმაგი მოქალაქეობით, საქართველო - ესტონეთი), აღმასრულებელი დირექტორი ვალერიან მორჩილაძე (პ/ნ 33001021501).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს 2 შვილობილი საწარმო: შპს „ჯი ემ ემ“ (ს/კ 405115174) და ამხანაგობა „პროექტი - 1981“ (ს/კ 237115260).

კომპანიამ შვილობილი საწარმო შპს „ჯი ემ ემ“ შეიძინა 2018 წლის ივნისში. მისი საქმიანობაა უძრავი ქონების მართვა გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე.

ამხანაგობა „პროექტი-1981“ შეიქმნა 2019 წლის აპრილში შპს „სითი და კო“-ს 50% თანამონაწილეობით და მის საქმიანობასაც მშენებლობა წარმოადგენს. ამხანაგობამ 2019 წელს შეასრულა ერთი პროექტი და დაასრულა საქმიანობა.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ მეოთხე კატეგორიის საწარმოებს და არ ევალებათ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა.

2.2. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სათავო კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

მეკავშირე კომპანიები

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. თუ ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგ., შვილობილი საწარმოს მეშვეობით) ეკუთვნის ხმის უფლების 20% ან მეტი, მაშინ მიიჩნევა, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (თუკი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს). სხვა ინვესტორის მიერ ამავე საწარმოში მნიშვნელოვანი წილის, ან საკონტროლო პაკეტის ფლობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე საწარმოს არ შეიძლება გააჩნდეს მნიშვნელოვანი გავლენა მოცემულ საწარმოზე.

მეკავშირე საწარმოში აღიარებულია წილობრივი მეთოდით. ინვესტიციების აღრიცხვა წილობრივი მეთოდით იმ მომენტიდან იწყება, როდესაც ინვესტირებული საწარმო მიიჩნევა მეკავშირე საწარმოდ.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. დაუმთავრებელი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღიარებისათვის გამოიყენება პროპორციული შესრულების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით.

თუ შეუძლებელია ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ:

(ა) საწარმომ აღიარებს მხოლოდ ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და

(ბ) სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით და, ამავე დროს, იქმნება შესაბამისი ანარიცხი წაგებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც საწარმოს უკვე აღიარებული აქვს როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, საწარმომ ამგვარი თანხა უნდა აღიაროს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირება.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრომოკლევადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდასაბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 20%;

კავშირგაბმულობის საშუალებები - 10%;

ოფისის აღჭურვილობა - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 20%;

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%;

სამშენებლო ინვენტარი - 20%;

მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებების აქსესუარები - 20%;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 50%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა). 2019 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	1413	54785
ლარი საბანკო ანგარიშებზე	72360	92701
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1437346	462963
ევროები საბანკო ანგარიშებზე		38
სულ:	1511119	610487

3.2. გაცემული მიმდინარე სესხები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გაცემული სხვა მოკლევადიანი სესხები	60940	183842
სულ:	60940	183842

2019 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს 2 იურიდიულ პირზე გაცემული სესხის ძირს და გადასახდელ პროცენტს, რომელთაგან ორივე წარმოშობილია 2019 წელს და ერთი მათგანი დაიფარა 2020 წელის თებერვალში.

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	1288	
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გრძელვადიანი კონტრაქტებით სახელშეკრულებო ამონაგების სახით აღიარებული თანხა	2893930	453684
სულ:	2895218	453684

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეჭვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი 1 იურიდიული პირის წინაშე, სულ 1 დებიტორი 31.12.2019 წ. მდგომარეობით, ხოლო რაც შეეხება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გრძელვადიანი კონტრაქტებით სახელშეკრულებო ამონაგების სახით აღიარებულ თანხას, იგი შედგება 6 პროექტიდან მოსალოდნელი მისაღები შემოსავლით.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1965766	186688
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	57096	
სხვა გადახდილი ავანსები	772	
სულ:	2023634	186688

31.12.2019 წ. მდგომარეობით ავანსები გადახდილია 36 რეზიდენტი და 3 არარეზიდენტო მიმწოდებლისთვის.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	1028611	231991
მოთხოვნები ანაგარიშვალდებული პირების მიმართ	4760	368
სხვა მიმდინარე აქტივები	49452	
სულ:	1082823	232359

წინსწრებით გადახდილი გადასახადის უდიდეს ნაწილს, 947189 ლარს შეადგენს მიმწოდებლისთვის ავანსად გადახდილ თანხებზე დარიცხული და ბიუჯეტში გადახდილი ჩასათვლელო დღგ.

მოთხოვნა საწარმოს პერსონალის წინაშე დაიფარა 2020 წელს.

3.6. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მასალები	45383	42866
სულ:	45383	42866

3.7. მისაღები პროცენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მისაღები პროცენტები		20055
სულ:	0	20055

3.8. საინვესტიციო ქონება:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთი (გურია, ოზურგეთი სოფ. ბოხვაური, 1008 კვ.მ, ს/კ 26.17.11.013)	223008	223008
სულ:	223008	223008

3.9. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მანქანა-დანადგარები	44494	37629	-4053	10917
კავშირგაბმულობის საშუალებები	1874	592	-148	1429
ოფისის აღჭურვილობა	13075	6753	-2151	8473
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	11214	6360	-1690	6544
ავეჯი და სხვა იწვენტარი	2771	937	-549	2383
სამშენებლო იწვენტარი	68655	73559	-4904	0
მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	11019	1504	-7639	17154
სატრანსპორტო საშუალებების აქსესუარები	1330	0	-332	1662
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6952	1331	-1312	6933
სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	5878	7010	-2727	1595
სულ:	167260	135676	-25505	57089

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 109079 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 83575 ლარი;

3.10. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული	ნაშთი 31.12.2018
არამატერიალური აქტივები,	3222	1355	-456	2323
სულ:	3222	1355	-456	2323

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეადგენს საბუღალტრო და სასაწყობე პროგრამები.

3.11. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	441228	11843
სულ:	441228	11843

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 52 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე, რომელიც მიმდინარე დავალიანებებს წარმოადგენს და იფარება 2020 წლის დასაწყისში.

3.12. მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიღებული ავანსები რეზიდენტებისაგან	6209353	1242248
სულ:	6209353	1242248

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას მიღებული ჰქონდა გრძელვადიანი კონტრაქტების შესასრულებლად ავანსები 2 რეზიდენტი საწარმოსაგან.

3.13. ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	61376	1984
სულ:	61376	1984

3.14. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი		770183
ჰალიკბანკისგან აღებული საკრედიტო ხაზი	2824757	1204470
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი		79330
სულ:	2824757	2053983

„ჰალიკბანკიდან“ აღებული საკრედიტო ხაზის დავალიანება აშშ დოლარებში 2019 წლის ბოლოს შეადგენს 985025 USD-ს.

3.15. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	425049	22297
მომწოდებლისთვის გადახდილ ავანსებზე მიღებული ჩათვლა	201550	27657
სულ:	626599	49954

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება დეკემბრის თვის გადასახდელი თანხებისგან, რომელთა დეკლარირებაც მოხდა 2020 წლის 15 იანვრისთვის.

3.16. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები (საპენსიო ფონდი)	3070	
სხვა ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების წინაშე	48	120
სხვა ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	3750	14103
სულ:	6868	14223

ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე იფარება 2020 წელს.

3.17. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გაუნაწილებელი მოგება (სითი და კო)	-2161128	-1362938
გაუნაწილებელი მოგება (ჯი ემ ემ)	3542	1104
გაუნაწილებელი მოგება (პროექტი-1981)	13	
სულ:	-2157573	-1361834

3.18. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა სამშენებლო მომსახურებიდან.

	2019 წელი	2018 წელი
სამშენებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	6227636	1185958
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-5395969	-758177
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაუმთავრებელი ხელშეკრულებების სახელშეკრულებო ამონაგების სახით აღიარებული თანხა	2606328	453684
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაუმთავრებელი ხელშეკრულებების სახელშეკრულებო ამონაგების სახით აღიარებული თანხის შესაბამისი თვითღირებულება	-2454749	-352341
სიჯარო შემოსავალი (სამშენებლო იარაღის იჯარით გაცემა)		1444
შემოსავალი საშუაშავლო მომსახურებიდან		12714
სულ:	983246	543282

3.19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო ხარჯები	-265733	-177234
საწარმოო დანიშნულების ხარჯები (საწარმოო ინვენტარი, რემონტი, უსაფრთხოება)	-5858	-2104
მიწოდების ხარჯები (რეკლამა, ტრანსპორტირება)	-2074	-1438
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-715345	-525128
გადასახადი საპენსიო ფონდში ხელფასებიდან	-9218	
ცვეთა და ამორტიზაცია	-25961	-11829
იჯარის ხარჯები და კომუნალური ხარჯები	-98497	-53634
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-1168	-471
მმართველობითი და საკონსულტაციო ხარჯები	-435818	-7500
მიმდინარე სარემონტო ხარჯები	-12430	-2585
საკომუნიკაციო ხარჯები	-5996	-990
საბანკო ხარჯები	-15379	-9467
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	-11510	
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-68187	-84197
სულ:	-1673174	-876577

3.20. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2019 წელი	2018 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	34774	26465
საპროცენტო შემოსავლები არალიცენზირებული ფინანსური ისტიტუტებისაგან	15357	26822
სულ:	50131	53287

3.21. არასაოპერაციო ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	177336	153030
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-317401	-182647
სულ:	-140065	-29617

3.22. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი:

	2019 წელი	2018 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	7	611
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი		-23
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-84	-765
სულ:	-77	-177

3.23. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

	2019 წელი	2018 წელი
მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი	-779939	-309802
სულ:	-779939	-309802

3.24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.